სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (აკადემიური უმაღლესი განათლება)

გორი

2024 წელი

მუხლი 1. წესის სამართლებრივი საფუძველი და რეგულირების სფერო

1. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში - აკადემია) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (შემდგომში - წესი) შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,თავდაცვის კოდექსის” შესახებ საქართველოს კანონის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, საქართველოში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების და აკადემიის წესდების საფუძველზე;

2. წესი არეგულირებს აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან, ბაკალავრიატის იუნკერის/მაგისტრატურის მსმენელის/ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელის სტატუსის მოპოვებასთან, შეჩერებასთან, აღდგენასთან, შეწყვეტასთან, მობილობასთან, განათლების აღიარებასთან, სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მართვასთან დაკავშირებულ და სხვა საკითხებს;

3. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესში, ან აკადემიის სხვა რეგულაციებში, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებ-ლობის შესაბამისად;

4. აკადემიაში უმაღლესი აკადემიური მიმართულებით სასწავლო პროცესს ახორციელებენ ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულები (ბაკალავრიატი და მაგისტრატურა), ხოლო სასწავლო პროცესის ორგანიზებაში მონაწილეობენ აკადემიის სტრუქტურული ერთეულები: იუნკერთა სასწავლო ბატალიონი, სწავლებების მხარდაჭერის და განვითარების ცენტრი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შტაბის G-3/G-2 სამსახურის სამოქალაქო და სამხედრო მიმართულებების სასწავლო განყოფილებები (შემდგომში სასწავლო განყოფილებები) და საგამოცდო ცენტრი;

5. სწავლება და იუნკერის/მსმენელის მიღწევების შეფასება ხორციელდება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების საბჭოების მიერ განხილული, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებული და აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების) და მათში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსების რეგულაციების მკაცრი დაცვით;

6. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების თავისუფალ კომპონენტში ინტეგრირებული ,,საერთო საჯარისო მართვის” სასწავლო კურსები თანხმდება საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის J-7 სამხედრო განათლების და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტთან;

7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო განყოფილებებთან ერთად ვალდებულია აწარმოოს სასწავლო პროცესისა და იუნკერთა/მსმენელთა მიღწევების შეფასების პროცესის მუდმივი მონიტორინგი.

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამების სახეები

1. აკადემია ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების I და II საფეხურის (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) საგანმანათლებლო პროგრამებს და აქვს სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსი;

2. აკადემია აგრეთვე ახორციელებს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას სომხურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი მსმენელებისთვის;

3. საგანმანათლებლო პროგრამა დამთავრებულად ანუ იუნკერის/მსმენელის მიერ ათვისებულად (მიღწეულად) ითვლება, თუ იუნკერი/მსმენელი დააგროვებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების მინიმალურ რაოდენობას;

4. საგანმანათლებლო პროგრამის ყველა დონეზე ფასდება იუნკერის/მსმენელის სწავლის შედეგები. დაგროვილი კრედიტების საფუძველზე განისაზღვრება შესაბამისი კვალიფიკაცია (ხარისხი). საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შემდეგ აკადემიის მიერ გაიცემა შესაბამისი დოკუმენტი – დიპლომი, დანართთან ერთად, რომელიც შეიცავს სრულ ინფორმაციას მფლობელის მიერ განხორციელებული სწავლის ხარისხის დონის, შინაარსის, სტატუსის და მინიჭებული კვალიფიკაციის შესახებ. ქართულ ენაში მომზადების პროგრამის დაძლევის შემდეგ აკადემიის მიერ გაიცემა შესაბამისი დოკუმენტი – სერტიფიკატი;

5. აკადემიაში დანერგილია ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემა (ECTS);

6. იუნკერის/მსმენელის წლიური დატვირთვა შეადგენს მინიმუმ 60 კრედიტს, ანუ 1500 საათს, საიდანაც 1 კრედიტი უდრის 25 საათს და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ სამუშაო დროს. საგანმანათლებლო პროგრამის ან/და იუნკერის/მსმენელის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია იუნკერის/მსმენელის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა. კრედიტი გამოხატავს იუნკერისთვის/მსმენელისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას, რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ. აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა, მათ შორის დასვენების პერიოდი, რაც არ აღემატება 12 უწყვეტ კალენდარულ თვეს;

7. აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება ბოლონიის პროცესისა და ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებს და მოიცავს მინიმუმ 240 ECTS კრედიტს ბაკალავრიატის საფეხურზე, მინიმუმ 120 ECTS კრედიტს სამაგისტრო სწავლების საფეხურზე. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არის 60 კრედიტიანი.

8. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სწავლის ხანგრძლივობა აკადემიაში ბაკალავრიატის საფეხურზე ძირითადად შეადგენს 4 წელს, მაგისტრატურის საფეხურზე - 2 წელს, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - 1 წელს.

მუხლი 3. ბაკალავრიატის იუნკერის / მაგისტრატურის მსმენელის სტატუსის მოპოვება და პირადი საქმის დაკომპლექტება

1. აკადემიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ აბიტურიენტებს, რომლებიც დარეგისტრირდნენ მიმდინარე წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, რეგისტრაციისას აირჩიეს აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები და რომლებსაც მიმდინარე წელს არ უსრულდებათ 24 და მეტი წელი;

2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა: ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენის და ლიტერატურის, უცხო ენის და მათემატიკის/ისტორიის/ფიზიკის/სამოქალაქო განათლების ჩაბარების დადებითი

შედეგები და შესარჩევი ტურის გავლა (სამედიცინო შემოწმება, ფიზიკური შესაბამისობის ტესტირება და ფსიქოლოგიური შერჩევა);

3. სსიპ-გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის (შემდგომში-ლიცეუმი) კურსდამთავრებული აბიტურიენტი თავისუფლდება შესარჩევი ტურის კომპონენტის - ფიზიკური შესაბამისობის ტესტირებისაგან, თუ იგი ლიცეუმის დამთავრების შემდეგ, იმავე წელს დარეგისტრირდება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აკადემიაში ჩაბარების მიზნით;

4. აბიტურიენტს იუნკერის/მსმენელის სტატუსის მოპოვება შეუძლია აგრეთვე ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

5. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული იუნკერები ბაკალავრიატში სწავლის დაწყებამდე გადიან საწყისი საბრძოლო მომზადების კურსს (BCT)[1];

6. აბიტურიენტებს აკადემიაში ჩარიცხვამდე მიეწოდებათ ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების, აკადემიაში არსებული სასწავლო პროცესისა და მათთვის საინტერესო საკითხების თაობაზე. ამ მიზნით აკადემიის მიერ საქართველოს მასშტაბით ხორციელდება საინფორმაციო შეხვედრები, ამასთან ერთად აკადემიაში ტარდება ღია კარის დღეები;

7. იუნკერი, სტატუსის მოპოვების და თავდაცვის ძალებში გაწვევის შემდეგ, დაექვემდებარება „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სამხედრო დისციპლინის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2024 წლის 5 მარტის N33 ბრძანებას და აკადემიის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს.

8. მაგისტრატურის მსმენელის სტატუსის მოპოვების საფუძველია საერთო სამაგისტრო გამოცდების დადებითი შედეგები და საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული შიდა გამოცდების ჩაბარება სპეციალობაში. მაგისტრატურაში მიღების წინაპირობები დაკონკრეტებულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში. მაგისტრატურის შიდა გამოცდის თემატიკა სპეციალობების მიხედვით, დადგენილი წესის შესაბამისად, განთავსდება აკადემიის ვებ გვერდზე.

9. მაგისტრატურის მსმენელის სტატუსის მოპოვება აგრეთვე შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10. აკადემია აცხადებს საგანმანათლებლო პროგრამის მიერ თითოეული საგამოცდო საგნისათვის მინიჭებულ კოეფიციენტს და აბიტურიენტები, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები, ჩაირიცხებიან აკადემიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე საგამოცდო საგნებისათვის მინიჭებული კოეფიციენტების მიხედვით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) მიერ აკადემიისთვის განსაზღვრული იუნკერების რაოდენობის ფარგლებში;

11. ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში ჩარიცხვისა და სწავლის პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

12. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვება ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტების შედეგების საფუძველზე

(აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი აბიტურიენტი აბარებს ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან ტესტს, ხოლო აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი აბიტურიენტი, შესაბამისად, აფხაზური და ოსური ენის ტესტს). ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ქართულ ენაში უნარ-ჩვევებისა და ცოდნის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) შეძენა იმ დონეზე, რომელიც აუცილებელია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად. აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვთ იმ პირებსაც, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩაირიცხებიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

13. იუნკერის/მსმენელის სტატუსის მოიპოვება ხორციელდება აკადემიაში პირის ჩარიცხვით, კონტრაქტის/ხელშეკრულების ხელმოწერით, რაც ფორმდება ინდივიდუალური-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით – რექტორის ბრძანებით;

14. ქართულ ენაში მომზადების, საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მსურველი აბიტურიენტი საბუთების მიმღებ ქვეკომისიაში წარმოადგენს აკადემიის რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ დოკუმენტაციას საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში;

15. ბაკალავრიატის იუნკერის/მაგისტრატურის მსმენელის პირადი საქმე გარდა რექტორის ბრძანებით განსაზღვრული დოკუმენტაციისა, უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) აკადემიასა და ბაკალავრიატის იუნკერს/მაგისტრატურის მსმენელს შორის გაფორმებულ კონტრაქტს/ხელშეკრულებას;

ბ) ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის ბრძანების ამონაწერს;

გ) ბაკალავრიატის იუნკერის/მაგისტრატურის მსმენელის სასწავლო ბარათს;

დ) საქართველოს მოქალაქის (ბიომეტრიული) პასპორტის ასლს.

15^1. ამ მუხლის მე-15 პუნქტის "დ)" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოს მოქალაქის (ბიომეტრიული) პასპორტის ასლი, რომელიც ვალიდური (მოქმედი) იქნება აკადემიაში ჩარიცხვის დღიდან მინიმუმ 4 (ოთხი) წლის განმვალობაში, აკადემიაში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს აკადემიაში სწავლის დაწყებამდე, საბუთების მიღების დროს.

15^2. იმ შემთხვევაში, თუ აკადემიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირი, ამ მუხლის "15^1" პუნქტით განსაზღვრულ საქართველოს მოქალაქის (ბიომეტრიული) პასპორტის ასლს, მისი არ ქონის გამო, ვერ წარმოადგენს ჩარიცხვამდე, ჩარიცხვის შემდგომ აღნიშნული დოკუმენტის წარმოსადგენად მას ეძლევა ვადა პირველი სასწავლო წლის პირველი სასწავლო სემესტრის ბოლომდე. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ აკადემიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირი არ არის სრულწლოვანი (18 წლამდე ასაკის პირი) და არ აქვს

საქართველოს მოქალაქის (ბიომეტრიული) პასპორტი, აკადემიაში ჩარიცხვის შემდგომ დოკუმენტის წარმოსადგენად ეძლევა ვადა პირველი სასწავლო წლის ბოლომდე."

16. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე და ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება აკადემიის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 4. კონტრაქტის/ხელშეკრულების გაფორმება

1. ბაკალავრიატის იუნკერი/მაგისტრატურის მსმენელი ვალდებულია გააფორმოს კონტრაქტი/ხელშეკრულება;
2. კონტრაქტი/ხელშეკრულება ფორმდება ორ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი გადაეცემა იუნკერს/მსმენელს, ხოლო მეორე - ბარდება აკადემიის შტაბის G-1 სამსახურში და ინახება იუნკერის/მსმენელის პირად საქმეში;
3. კონტრაქტში/ხელშეკრულებაში იუნკერმა/მსმენელმა უნდა მიუთითოს:

- პირადი ნომერი;
- გვარი, სახელი;
- რეგისტრაციის მისამართი;
- დაბადების თარიღი;

4. ბაკალავრიატის იუნკერის კონტრაქტით, სამხედრო სამსახურის თავისებურებებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შესაძლებელია ნაწილობრივ შეიზღუდოს იუნკერის, როგორც სამხედრო მოსამსახურის სამოქალაქო უფლებები. სამსახურის ვადა შეადგენს 6 კალენდარულ წელს და იუნკერად ყოფნის ვადის ჯამს. კონტრაქტის მოქმედება იწყება იუნკერად ჩარიცხვის დღიდან. იუნკერი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ ვალდებულია გაიაროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული აქტივობები და დააგროვოს განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა;
5. მაგისტრატურის მსმენელი, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ვალდებულია გაიაროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული აქტივობები და დააგროვოს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა;
6. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელი, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ (რომლის ფორმასაც განსაზღვრავს აკადემიის რექტორი), ვალდებულია გაიაროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული აქტივობები და დააგროვოს შესაბამის პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა.

მუხლი 4[1]. მაგისტრატურის მსმენელთან (სწავლის საფასურის გადამხდელი) ხელშეკრულების გაფორმება

1. აკადემიის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხული მსმენელისათვის, რომელიც წარმოდგენილი არ არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, სწავლის საფასური ერთ სასწავლო წელზე შეადგენს 2250 ლარს და გადაიხდება ყოველწლიურად.
2. სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდა დარეგულირებულია მსმენელებთან გაფორმებული ხელშეკრულებით 4 ეტაპად:
ა) I კურსის შემოდგომის სემესტრის სწავლის დაწყებამდე არაუმეტეს 10 სამუშაო დღით ადრე;
ბ) I კურსის გაზაფხულის სემესტრის დაწყებიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა;
გ) II კურსის შემოდგომის სემესტრის სწავლის დაწყებამდე არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა;
დ) II კურსის გაზაფხულის სემესტრის დაწყებიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა.
3. სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის საფასურის განსხვავებული გადახდის გრაფიკის საკითხს მაგისტრატურის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე წყვეტს აკადემიური საბჭო.
4. ნაწილობრივი დაფინანსების (სახელმწიფო გრანტი) მქონე მსმენელმა სახელმწიფო დაფინანსებასა და სწავლის რეალურ საფასურს შორის სხვაობა უნდა დაფაროს მსმენელთან გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში.
5. მსმენელის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, მსმენელმა უნდა განაახლოს ხელშეკრულება აკადემიასთან. ამ შემთხვევაში, სწავლის საფასური განისაზღვრება მსმენელის სტატუსის აღდგენისას საქართველოს კანონმდებლობითა და აკადემიური საბჭოს დადგენილებით განსაზღვრული ტარიფით.
(ამოქმედდეს 2024 წლის 1 სექტემბრიდან)

მუხლი 4². მაგისტრატურის მსმენელის (სწავლის საფასურის გადამხდელი) ინდივიდუალური გადახდის გრაფიკი

1. მსმენელი, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ იყო წარმოდგენილი და გათავისუფლდა სამსახურიდან, თუ 10 სამუშაო დღის ვადაში მიმართავს მაგისტრატურის ხელმძღვანელს საკუთარი სახსრებით სწავლის გაგრძელების შესახებ, მაგისტრატურის წარდგინებით აკადემიური საბჭო დაადგენს გადახდის ინდივიდუალურ გრაფიკს. აღნიშნულთან დაკავშირებით მსმენელთან გაფორმდება ახალი ხელშეკრულება.
2. მსმენელი, რომელსაც სურს ინდივიდუალური გადახდის გრაფიკით სარგებლობა, განცხადებით მიმართავს აკადემიის მაგისტრატურის ხელმძღვანელს, გადახდის ვადის დადგომამდე არაუგვიანეს 20 კალენდარული დღით ადრე. ინდივიდუალური გრაფიკის განსაზღვრის შემთხვევაში მსმენელთან აკადემიის შტაბის G-1 სამსახური გააფორმებს დამატებით შეთანხმებას, აკადემიური საბჭოს დადგენილებით განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად.
3. მსმენელის განცხადების დაკმაყოფილების ან განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მაგისტრატურის ხელმძღვანელის წარდგინებით გადაწყვეტილებას იღებს აკადემიის აკადემიური საბჭო, მაგისტრატურის ხელმძღვანელის მომართვიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.
4. დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება პირველ პუნქტში მითითებული ვადის დარღვევით წარმოდგენილი განცხადება.
(ამოქმედდეს 2024 წლის 1 სექტემბრიდან)

მუხლი 5. სასწავლო პროცესის ორგანიზება

1. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სასწავლო წლის გეგმა-კალენდარის მიხედვით;

2. აკადემიაში არსებული საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები ბაკალავრიატის იუნკერს/მაგისტრატურის მსმენელს სთავაზობს არჩევით სასწავლო კურსებს;

3. აკადემიაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც ატვირთულია აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (eta.edu.ge);

4. სასწავლო წლის დაწყებამდე მიმართულების/საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ ტარდება საინფორმაციო შეხვედრები, სადაც ბაკალავრიატის პირველი კურსის იუნკერები/მაგისტრატურის მსმენელები დეტალურად ეცნობიან იმ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებზეც არიან ჩარიცხულები;

4[1] მიმართულების/საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი მიმართულების აკადემიურ პერსონალთან ერთად ვალდებულია სასწავლო სემესტრის დაწყების წინ, აგრეთვე შუალედური და დასკვნითი გამოცდების დაწყებამდე ინფორმაციის გაცვლის მიზნით შეხვდეს ბაკალავრიატის იუნკერებს/მაგისტრატურის მსმენელებს;

5. ინსტრუქტორი/მასწავლებელი, აკადემიური/მოწვეული პერსონალი ვალდებულია სწავლება და იუნკერთა/ მსმენელთა მიღწევების შეფასება განახორციელოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების, სილაბუსებისა და სასწავლო გეგმების, კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციების შესაბამისად;

6. საგანმანათლებლო პროგრამები და მათში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსები იხილება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების საბჭოების მიერ, შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ხელმძღვანელის წარდგინებით და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ;

7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლო განყოფილებებთან ერთად ვალდებულია აწარმოოს სწავლებისა და იუნკერთა/მსმენელთა მიღწევის შეფასების პროცესის მონიტორინგი;

8. აკადემიური პერსონალი ვალდებულია სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს (ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ლაბორატორიული სამუშაო, ელექტრონული რესურსით სწავლება, საველე გასვლა და სხვა.) აწარმოოს იუნკერთა/მსმენელთა აღრიცხვიანობა და საპატიო მიზეზის გარეშე იუნკერი/მსმენელი არ გაათავისუფლოს სასწავლო პროცესიდან.

მუხლი 6. სასწავლო პროცესის ფორმა

1. სწავლება წარიმართება სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა: ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ლაბორატორიული სამუშაო, დისტანციური სწავლება, ელექტრონული რესურსით სწავლება, საველე გასვლა და სხვა;

2. თითოეული სასწავლო კურსი, მისი თავისებურებებიდან გამომდინარე, ითვალისწინებს სწავლება-სწავლის მეთოდებს და შესაბამის აქტივობებს, რაც დაკონკრეტებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში;

3. სასწავლო კურსი არის ერთსემესტრიანი.

მუხლი 7. იუნკერის/მაგისტრატურის მსმენელის მიღწევების შეფასება

იუნკერის/მაგისტრატურის მსმენელის მიღწევების შეფასება ხორციელდება აკადემიის აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურზე გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქციის შესაბამისად.

მუხლი 8. ბაკალავრიატის იუნკერის/ მაგისტრატურის მსმენელის სტატუსის შეჩერება/აღდგენა

1. ბაკალავრიატის იუნკერის/მაგისტრატურის მსმენელის სტატუსის შეჩერება ნიშნავს, ბაკალავრიატის იუნკერის/მაგისტრატურის მსმსნელის კონტრაქტის/ხელშეკრულების შესრულებისგან დროებით გათავისუფლებას, იუნკერის/მაგისტრატურის მსმენელის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

2. ბაკალავრიატის იუნკერის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა); უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლამდე უცხო ენის კურსზე ჩარიცხვა/მივლინება; სწავლის დაუსრულებლობის და მივლინებიდან ადრე დაბრუნების შემთხვევაში იუნკერის სტატუსის შესახებ საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო;

ბ) ავადმყოფობა (სსიპ - გიორგი აბრამიშვილის სახელობის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალიდან წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე);

გ) ორსულობა, მშობიარობა ან ბავშვის მოვლა;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა, რომელიც არ იწვევს სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შეჩერებას ან შეწყვეტას;

2.[1] 2022 და შემდგომი წლებიდან ჩარიცხული ბაკალავრიატის იუნკერის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის მიერ უცხო ქვეყანაში წარგზავნის შემთხვევაში სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა;

ბ) ორსულობა, მშობიარობა ან ბავშვის მოვლა, ხოლო თუ ის არის სამხედრო მოსამსახურის სტატუსის მქონე იუნკერი - ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისას სამხედრო სამსახურთან შეუსაბამობის დადგენა;

3. ბაკალავრიატის სტატუსშეჩერებული იუნკერის სტატუსის აღდგენა:

ა) ბაკალავრიატის სტატუსშეჩერებული იუნკერის სტატუსის აღდგენა ხორციელდება ამ მუხლის მე-2 და 2[1] პუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების აღმოფხვრის შემდგომ;

ბ) ამ მუხლის მე-2 და 2[1] პუნქტების ბ) ქვეპუნქტით სტატუსშეჩერებულ იუნკერისათვის სტატუსის შეჩერების საფუძვლების აღმოფხვრის შემდეგომ, იუნკერს სტატუსი აღუდგება მხოლოდ (სსიპ - გიორგი აბრამიშვილის სახელობის თავდაცვის

სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალიდან წარმოდგენილი) ჯანმრთელობის მდგომარეების შესახებ ცნობის/დასკვნის წარმოდგენის საფუძველზე;

4. მაგისტრატურის მსმენელის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

ბ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;

გ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა, რომელიც არ იწვევს სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შეჩერებას ან შეწყვეტას;

4¹. 2022 და შემდგომი წლებიდან ჩარიცხული მაგისტრატურის მსმენელის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის მიერ უცხო ქვეყანაში წარგზავნის შემთხვევაში სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა;

ბ) როდესაც სტატუსის შეჩერება აუცილებელია და ის ინიცირებულია იმ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, რომელშიც სწავლის პერიოდში დასაქმებულია მაგისტრატურის მსმენელი;

გ) ორსულობა, მშობიარობა ან ბავშვის მოვლა, ხოლო თუ ის არის სამხედრო მოსამსახურის სტატუსის მქონე მაგისტრატურის მსმენელი - ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისას სამხედრო სამსახურთან შეუსაბამობის დადგენა;

5. მაგისტრატურის სტატუსშეჩერებული მსმენელის სტატუსის აღდგენა:

ა) მაგისტრატურის სტატუსშეჩერებული მსმენელის სტატუსის აღდგენა ხორციელდება ამ მუხლის მე-4 და 4¹ პუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების აღმოფხვრის შემდგომ;

ბ) ამ მუხლის მე-4 და 4¹ პუნქტების გ) ქვეპუნქტით სტატუსშეჩერებულ მაგისტრატურის მსმენელისთვის სტატუსის შეჩერების საფუძვლების აღმოფხვრის შემდეგომ, მსმენელს სტატუსი აღუდგება მხოლოდ (სსიპ - გიორგი აბრამიშვილის სახელობის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალიდან წარმოდგენილი) ჯანმრთელობის მდგომარეების შესახებ ცნობის/დასკვნის წარმოდგენის საფუძველზე;

6. ბაკალავრიატის იუნკერის/მაგისტრატურის მსმენელის სტატუსშეჩერებული პირი არ განიხილება აკადემიის იუნკერების/მსმენელების საერთო რაოდენობის ფარგლებში. აკადემია უზრუნველყოფს სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომში-სისტემა) სტუდენტების რეესტრში იუნკერის/მსმენელის სტატუსის შეჩერების რეგისტრაციას მათი საერთო რაოდენობის აღრიცხვა - დაზუსტების მიზნით;

7. ბაკალავრიატის ბაკალავრიატის იუნკერის/მაგისტრატურის მსმენელის სტატუსის აღდგენა აკადემიაში დასაშვებია იუნკერთა/მსმენელთა საერთო რაოდენობის ფარგლების გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში იუნკერების/მსმენელების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის აკადემიის მიერ დადგენილ იუნკერთა/მსმენელთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

მუხლი 8¹. მაგისტრატურის მსმენელის (სწავლის საფასურის გადამხდელი) სტატუსის შეჩერება/აღდგენა

1. მსმენელი რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ იყო წარმოდგენილი და იგი გათავისუფლდა სამსახურიდან, უფლება აქვს 10 სამუშაო დღის ვადაში მაგისტრატურის ხელმძღვანელს მიმართოს განცხადებით, ხოლო მაგისტრატურის ხელმძღვანელი პატაკით მიმართავს აკადემიის რექტორს, რათა აკადემიურმა საბჭომ განიხილოს მსმენელის საკუთარი სახსრებით სწავლის გაგრძელებისა ან/და არაუმეტეს ერთი სასწავლო წლით სტატუსის შეჩერების საკითხი.

1[1]. აკადემიური საბჭოს მიერ თუ დადებითი გადაწყვეტილება იქნება მიღებული, მსმენელის საკუთარი სახსრებით სწავლის გაგრძელების ან/და არაუმეტეს ერთი სასწავლო წლით სტატუსის შეჩერების შესახებ, აკადემიური საბჭოს მიერ განისაზღვრება ასევე სწავლის დასრულების პერიოდამდე გადასახდელი თანხა, კერძოდ, აკადემიაში დადგენილი სწავლის საფასურისა და სწავლის დასრულებამდე დარჩენილი პერიოდის თანაფარდობის შესაბამისად. აღნიშნულთან დაკავშირებით აკადემიური საბჭო დაადგენს მსმენელის ინდივიდუალურ გადახდის გრაფიკს.

2. მსმენელი უფლებამოსილია, აკადემიასთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის საფასურის გადახდის თარიღამდე 10 სამუშაო დღით ადრე მიმართოს მაგისტრატურის ხელმძღვანელს მსმენელის სტატუსის შეჩერების შესახებ, ხოლო მაგისტრატურის ხელმძღვანელი პატაკით მიმართავს აკადემიის რექტორს, რათა აკადემიურმა საბჭომ განიხილოს მსმენელის სტატუსის შეჩერების საკითხი.

3. მსმენელი, პირადი განცხადებით მიმართავს მაგისტრატურის ხელმძღვანელს, არსებული დავალიანების სრულად დაფარვის შემდგომ სტატუსის აღდგენის შესახებ, ხოლო მაგისტრატურის ხელმძღვანელი პატაკით მიმართავს აკადემიის რექტორს, რათა აკადემიურმა საბჭომ დაადგინოს მსმენელის სწავლის გაგრძელების ეტაპი, მიზანშეწონილი იქნება შემდგომი სემესტრიდან თუ შემდგომი სასწავლო წლიდან, იმ დროისათვის არსებული პროგრამის გათვალისწინებით.

4. მსმენელი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტატუსი:

4.1. სტატუსის აღდგენამდე არ დაიშვება სასწავლო პროცესში;

4.2. შეფასებას არ დაექვემდებარება სტატუსის შეჩერების პერიოდში გათვალისწინებული სასწავლო ან/და სამეცნიერო/კვლევითი კომპონენტ(ებ)ი.

(ამოქმედდეს 2024 წლის 1 სექტემბრიდან)

მუხლი 8[3].მსმენელის (სწავლის საფასურის გადამხდელი) სტატუსის შეჩერება სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო

1. სწავლის საფასურის გადახდისთვის დადგენილი ვადის გადაცილებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში, აკადემიის ფინანსების მართვის სამმართველო G3/G2 სამსახურს, მიაწვდის ინფორმაციას მსმენელის პირადი მონაცემებისა და დავალიანების შესახებ.

2. ხელშეკრულებით ან ინდივიდუალური გადახდის გრაფიკით დადგენილ ვადებში სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო მსმენელის სტატუსის შეწყვეტა ხორციელდება აკადემიის რექტორის ბრძანებით. მსმენელის სტატუსის ცვლილების შესახებ ინფორმაციის ასახვას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ახორციელებს G3/G2 სამსახურის სამოქალაქო მიმართულების სასწავლო განყოფილება ინფორმაციის მიღებიდან არაუმეტეს 7 სამუშაო დღის ვადაში.

3. მსმენელს, რომელიც ხელშეკრულებით ან ინდივიდუალური გადახდის გრაფიკით განსაზღვრული სწავლის საფასურის გადახდისთვის დადგენილ ვადას გადააცილებს, შეუჩერდება მსმენელის სტატუსი, არაუგვიანეს ვადა გადაცილებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.
(ამოქმედდეს 2024 წლის 1 სექტემბრიდან)

მუხლი 8[2]. მაგისტრატურის მსმენელის (სწავლის საფასურის გადამხდელი) აკადემიური დავალიანების აღდგენის წესი

აკადემიაში დანერგილია მსმენელთა აკადემიური მოსწრების შეფასების ტრანსფერისა და დაგროვების კრედიტების აღდგენის შემდეგი პირობები:

1. საბოლოო გამოცდაზე **FX** (ვერ ჩააბარა) შეფასების მიღების შემთხვევაში მსმენელს უფლება ეძლევა განმეორებით (არანაკლებ 5 დღის ინტერვალით) ჩააბაროს აღნიშნული საგანი;

2. განმეორებით გამოცდაზე კვლავ არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში მსმენელს მოუწევს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსის, ხოლო ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსის შემთხვევაში იგივე ან პროგრამით გათვალისწინებული სხვა სასწავლო კურსის შესწავლა.

3. სასწავლო კურს(ებ)ის დარჩენის შემთხვევაში მსმენელის მიერ სასწავლო კურს(ებ)ის განმეორებით შესწავლისა და ანაზღაურების საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო.

4. ერთსა და იმავე სასწავლო კურსში კრედიტების აღდგენა დასაშვებია მხოლოდ ერთხელ;

5. ერთი კრედიტის აღდგენისათვის მსმენელი გადაიხდის 40 (ორმოცი) ლარს;

6.ზემოაღნიშნული პირობების შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს მსმენელისთვის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის საფუძველი.
(ამოქმედდეს 2024 წლის 1 სექტემბრიდან)

მუხლი 9. იუნკერის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა

1. იუნკერის/**მსმენელის** სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება უკავშირდებოდეს აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამით/პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობას ან იუნკერის/**მსმენელის** სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელებას ან იუნკერთან/**მსმენელთან** გაფორმებული კონტრაქტით/ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევას;

2. თუ პირი, რომელიც სწავლობს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე, განთავისუფლდება ადმინისტრაციული ორგანოდან, მას მსმენელის სტატუსი შეუწყდება შემდგომი მობილობის გამოცხადების შემდეგ (გავრცელდეს მხოლოდ 2022 და შემდგომ წლებში ჩარიცხულ მსმენელებზე);

2^1 .„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-16 პუნქტითა და ამ წესის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული რეგულაციის დაცვის მიზნით, მაგისტრატურის მსმენელი, აკადემიის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვიდან სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის განმავლობაში, ყოველი სასწავლო სემესტრის დასაწყისში ვალდებულია წარმოადგინოს ცნობა იმ ადმინისტრაციული ორგანოდან სადაც დასაქმებულია აკადემიაში სწავლის განმავლობაში. ცნობას თან უნდა ერთვოდეს მსმენელის მიერ შევსებული N1 დანართით გათვალისწინებული ფორმა;

2^2. იმ შემთხვევაში, თუ მაგისტრატურის მსმენელი განთავისუფლდება იმ ადმინისტრაციული ორგანოდან (სამსახურიდან), სადაც დასაქმებულია აკადემიაში სწავლის განმავლობაში, მსმსნელი ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახსენოს მაგისტრატურის ხელმძღვანელს აღნიშნულის თაობაზე;

3. ბაკალავრიატის იუნკერის/მაგისტრატურის მსმენელის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება აკადემიის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში ბაკალავრიატის იუნკერის/მაგისტრატურის მსმენელის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და იუნკერი/მსმენელი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იუნკერის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის.

მუხლი 10. მობილობა

1. აკადემიაში ბაკალავრიატის იუნკერის/მაგისტრატურის მსმენელის მობილობა (სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლა ან გადასვლა) აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) და აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

2. აკადემიაში უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე გადმოსვლის განსაკუთრებული პირობები:

ა) აკადემიაში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი), აკადემიის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხორციელდება მხოლოდ შემოდგომის სემესტრის მობილობა, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის ბრძანებით დადგენილ ადმინისტრაციულ ვადებში;

ბ) მობილობის შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს აკადემიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის სპეციფიკა. აკადემიის მისიიდან გამომდინარე საბაკალავრო პროგრამ(ებ)ის დასრულებისას კურსდამთავრებულს ენიჭება ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და ოფიცრის (ლეიტენანტის) სამხედრო წოდება. აკადემიური უმაღლესი განათლების I საფეხურზე, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ოფიცრის კომპეტენციების გამოსამუშავებლად აუცილებელი კომპონენტია თავისუფალ კომპონენტში შემავალი ,,საერთო საჯარისო მართვა”, რომელიც ისწავლება ყველა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. აღნიშნული კომპონენტის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია საველე გასვლები. მსგავსი ტიპის პროგრამა საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში არ ხორციელდება, შესაბამისად, მობილობის

შემთხვევაში ყველა კანდიდატს მოუწევს სწავლის დაწყება პირველი სასწავლო სემესტრიდან;

გ) აკადემიის ბაკალავრიატში მობილობით სწავლის გაგრძელების საფუძველია შესარჩევი ტურის (სამედიცინო შემოწმება, ფიზიკური შესაბამისობის ტესტირება, ფსიქოლოგიური შერჩევა) და საწყისი საბრძოლო მომზადების კურსის წარმატებით გავლა;

3. აკადემიაში უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე გადმოსვლის განსაკუთრებული პირობები:

ა) აკადემიაში აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) მობილობა ხორციელდება შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებში სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის (შემდგომში - სისტემის უფროსი) ბრძანებით დადგენილ ადმინისტრაციულ ვადებში;

ბ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის აკადემიაში შესაბამის სასწავლო კურსთან თავსებადობას მაგისტრატურა ადგენს გავლილი სასწავლო კურსის სილაბუსების ანალიზის შედეგად. აკადემიის საგანამანათლებლო პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებთან შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, მაგისტრატურა აღიარებს სტუდენტის მიერ გავლილ სასწავლო კურსს. აღიარებას ექვემდებარება უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების იმ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დაგენილი წესით;

გ) შინაარსობრივი შესწავლის შედეგად მაგისტრატურა დაადგენს სტუდენტის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უმაღლესი განათლების მეორე საფეხურ გავლილი და აკადემიაში მოქმედი უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებაში არსებული სხვაობის მიუხედავად;

დ) თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა აღემატება მაგისტრატურის შესაბამისი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობას, მაგისტრატურა აღიარებს მოქმედი უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანამანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების რაოდენობას, ხოლო თუ გავლილი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა ნაკლებია მაგისტრატურის შესაბამისი სასწავლო კურსის კრედიტებზე, გადაწყვეტილება შესაბამისობის შესახებ მიიღება სილაბუსების ანალიზის საფუძველზე;

ე) სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმომსვლელი სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც მითითებული იქნება ინფორმაცია თითოეული სასწავლო კურსის მოცულობის შესახებ. კერძოდ, კრედიტის ოდენობა და თუ რამდენი საათი ეთმობა სასწავლო კურსს;

ვ) აკადემიაში საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის ფარგლებში გადმოსული, ასევე აკადემიაში აღდგენილი მსმენელის კრედიტების აღიარებას უზრუნველყოფს მაგისტრატურა. მაგისტრატურის საბჭო, აღიარების საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანხმობის შემთხვევაში. კრედიტების აღიარებასთან

დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება და მსმენელების კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება ევალება მაგისტრატურას;

ზ) აკადემიის მაგისტრატურა ადგენს მობილობის მსურველ სტუდენტთა მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ;

თ) აკადემია უფლებამოსილია გამოცდის (გასაუბრების) საფუძველზე დაადგინოს მობილობის მსურველი სტუდენტის ცოდნისა და უნარების თავსებადობა შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან. ასეთი თავსებადობის არარსებობის შემთხვევაში აკადემია უფლებამოსილია უარი უთხრას სტუდენტს ჩარიცხვაზე;

ი) სასწავლო კურსების აღიარების შემთხვევაში მაგისტრატურა იღებს გადაწყვეტილებას, რომელშიც მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან და, ასევე აღიარებული კრედიტების რაოდენობა. გადაწყვეტილებას ხელს აწერს მაგისტრატურის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ უნდა ეცნობოს სტუდენტს;

კ) სტუდენტების კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებულ საჩივრებს განიხილავს აკადემიური საბჭო;

4. აკადემიიდან გადასვლის განსაკუთრებული პირობები (გავრცელდეს მხოლოდ 2022 და შემდგომ წლებში ჩარიცხულ ბაკალავრიატის იუნკერებზე/მაგისტრატურის მსმენელებზე:

ა) აკადემიის ბაკალავრიატის იუნკერს/მაგისტრატურის მსმენელს მობილობის უფლებით სარგებლობა (სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა) შეუძლია საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დროს ნებისმიერ სემესტრში ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისას სამხედრო სამსახურთან შეუსაბამობის დადგენის საფუძველზე (სსიპ - გიორგი აბრამიშვილის სახელობის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალიდან წარმოდგენილი ჯანმრთელობის მდგომარების შესახებ ცნობის/დასკვნის წარმოდგენის საფუძველზე.);

ბ) აკადემიის მაგისტრატურის მსმენელს მობილობის უფლებით სარგებლობა (სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა) შეუძლია სწავლის პერიოდში დამსაქმებელი ადმინისტრაციული ორგანოდან განთავისუფლების შემთხვევაში;

ბ[1]) აკადემიის მაგისტრატურის მსმენელს (სწავლის საფასურის გადამხდელი) მობილობის უფლებით სარგებლობა წარმოეშობა აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა მსმენელი სტატუსი (ამოქმედდეს 2024 წლის 1 სექტემბრიდან).

5. მობილობის უფლების შეზღუდვა

ა) მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. დაუშვებელია მობილობა პროფესიული განათლების პროგრამიდან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე;

ბ) აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტურატურა) მობილობისა და შიდა მობილობის უფლება მსმენელს წარმოეშობა მხოლოდ სახელმწიფო

რესურსების მართვის და უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე;

გ) მობილობის უფლება მსმენელს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა აკრედიტაცია, ან დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება;

დ) მობილობისა და შიდა მობილობის უფლება იმ ბაკალავრიატის იუნკერებს/მაგისტრატურის მსმენელებს, რომლებმაც ეროვნული გამოცდები ჩააბარეს 2020 წელს და შემდგომ, წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც შეესაბამება მის მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში ჩაბარებულ აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისთვის საჭირო სავალდებულო საგნებს;

6. სტუდენტის მობილობასთან დაკავშირებული აქტების გამოცემა

ა) აკადემია ცენტრს წარუდგენს სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივი აქტის პროექტს და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონულ ვერსიას სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად, რომლის საფუძველზე სისტემა ამოწმებს დაწესებულების ბრძანების პროექტში ასახული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანების მოთხოვნებთან, სისტემის რეესტრისა და ელექტრონული პორტალის მონაცემებთან და გასცემს დასკვნას პროექტში მითითებული სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის შესაძლებლობის შესახებ. სისტემა უფლებამოსილია გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია, რომელიც არ არის ასახული რეესტრში;

ბ) ბრძანების პროექტზე სისტემის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ გამოიცემა აკადემიის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ;

გ) აკადემიის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა 1 ოქტომბრამდე შემოდგომის სემესტრში;

დ) სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში (შემდგომში–რეესტრი) ასახვა ხდება სისტემის უფროსის მიერ დადგენილ ვადებში;

ე) აკადემიის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახება რეესტრში, ხოლო 3 სამუშაო დღის ვადაში იგზავნება სისტემაში;

ვ) მობილობით გადასულ ბაკალავრიატის იუნკერთა/მაგისტრატურის მსმენელთა მიმართ სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოცემული აკადემიის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტიდან ამონაწერის

(თანდართული დოკუმენტებით) გაცემის ვადაა - სტუდენტის მიმართვიდან 1 კვირა. ბაკალავრიატის იუნკერის/მაგისტრატურის მსმენელის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონული ვერსია სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად ცენტრს წარედგინება 7 ოქტომბრამდე.

მუხლი 11. შიდა მობილობა

1. შიდა მობილობა ბაკალავრიატში

ა) შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება იუნკერს წარმოეშობა უმაღლესი აკადემიური განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლის ერთი სემესტრის შემდეგ (გარდა მექანიკის ინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამის იუნკერებისა), მხოლოდ პირველი და მესამე სემესტრის ბოლოს (მეოთხე სემესტრის შემდგომ ყველა იუნკერს ეზღუდება შიდა მობილობით სარგებლობის უფლება). ამ პუნქტის მიზნებისათვის სწავლის პერიოდში არ შედის ის დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც იუნკერს შეჩერებული ჰქონდა იუნკერის სტატუსი;

ბ) აკადემიის აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე, შიდა მობილობით სარგებლობის უფლება აქვს თითოეული საგანმანათლებლო მიმართულების თითოეული კურსიდან მხოლოდ აქტიური სტატუსის მქონე იუნკერებს. თითოეული საგანმანათლებლო მიმართულების თითოეული კურსიდან შიდა მობილობის უფლებით ისარგებლებს მხოლოდ იუნკერთა 10%;

გ) შიდა მობილობის უფლების მოპოვებისათვის იუნკერმა ბაკალავრიატში უნდა შეავსოს შესაბამისი ფორმა, სადაც პრიორიტეტულად უნდა დააფიქსიროს ის საგანმანათლებლო პროგრამა(ები), რომელზეც/რომლებზეც სურს სწავლის გაგრძელება. პატაკში მითითებული უნდა იყოს შემდეგი გარემოებები:

გ.ა) მისი სურვილი ისარგებლოს აკადემიის შიდა მობილობით;

გ.ბ) საჭიროების შემთხვევაში მისი თანხმობა, რომ შიდა მობილობის განხორციელების შემთხვევაში დამატებით არაუმეტეს 1 წელი (ჯამურად არაუმეტეს 5 წელი) განაგრძობს სწავლას აკადემიაში;

გ.გ) შიდა მობილობით სარგებლობის შემთხვევაში, მისი სურვილი და თანხმობა, რომ შიდა მობილობამდე მოპოვებული განსხვავებული სასწავლო კურსების კრედიტები, არ აღიარდება იმ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელზეც იუნკერს სურს სწავლის გაგრძელება;

დ) „ა.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პროცენტში ხვდება მხოლოდ ის იუნკერი, რომელიც აკადემიაში გამოცხადებული შიდა მობილობის ვადებში, წერილობით მიმართავს ბაკალავრიატს შიდა მობილობის ვადების შესაბამისად;

ე) იუნკერთა შიდა მობილობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ბაკალავრიატის იუნკერთა შიდა მობილობის მარეგულირებელი კომისია (შემდგომში - კომისია). კომისია იუნკერთა შერჩევის დროს ეყრდნობა იუნკერთა აკადემიურ მოსწრებას, რის შესაბამისადაც „ა.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კურსის 10%-ში ხვდება მხოლოდ ის იუნკერები, რომლებმაც განაცხადეს მობილობის სურვილის შესახებ, ხოლო მობილობის უფლება განმცხადებლებიდან მიეცემა საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე იუნკერებს;

ვ) შიდა მობილობის უფლება იმ იუნკერებს, რომლებმაც ეროვნული გამოცდები ჩააბარეს 2020 წელს და შემდგომ, წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც შეესაბამება მის მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში ჩაბარებულ აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისთვის საჭირო სავალდებულო საგნებს.

2. შიდა მობილობა მაგისტრატურაში

ა) შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება მაგისტრატურის მსმენელს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი სემესტრის შემდეგ (გარდა თავდაცვის ანალიზის საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელებისა), სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაში პირს შეჩერებული ჰქონდა მაგისტრატურის მსმენელის სტატუსი;

ბ) შიდა მობილობის უფლების მოპოვებისათვის მსმენელმა მაგისტრატურაში უნდა შეავსოს შესაბამისი ფორმა, სადაც პრიორიტეტულად უნდა დააფიქსიროს ის საგანმანათლებლო პროგრამები, რომელზეც სურს სწავლის გაგრძელება. ამასთან, მსმენელი პატაკით/განცხადებით მიმართავს აკადემიის მაგისტრატურას შიდა მობილობის უფლების მოპოვების სურვილის შესახებ. პატაკში/განცხადებაში მითითებული უნდა იყოს შემდეგი გარემოებები:

ბ.ა) მისი სურვილი ისარგებლოს აკადემიის შიდა მობილობით;

ბ.ბ) შიდა მობილობით სარგებლობის შემთხვევაში, მისი სურვილი და თანხმობა, რომ შიდა მობილობამდე მოპოვებული განსხვავებული სასწავლო კურსების კრედიტები, არ აღიარდება იმ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელზეც მსმენელს სურს სწავლის გაგრძელება;

გ) მსმენელის მიერ შიდა მობილობის განხორციელების დროს არჩეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კონკურსის არსებობის შემთხვევაში პროგრამის შეცვლის პრიორიტეტი მიენიჭება იმ მსმენელებს, რომლებსაც აქვთ უფრო მაღალი აკადემიური მოსწრება;

დ) აკადემიის აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე, შიდა მობილობით სარგებლობის უფლება აქვს თითოეული საგანმანათლებლო მიმართულების თითოეული კურსიდან მხოლოდ აქტიური სტატუსის მქონე მსმენელებს. თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კურსიდან შიდა მობილობის უფლებით ისარგებლებს მხოლოდ მსმენელთა 20%;

3. შიდა მობილობის განხორციელება

ა) პირველი და მესამე სემესტრის დასრულებამდე, საგანმანათლებლო პროგრამის/მიმართულების ხელმძღვანელები ატარებენ საინფორმაციო ტიპის შეხვედრებს ბაკალავრიატის იუნკერებთან/მაგისტრატურის მსმენელებთან. მათ მიეწოდებათ ინფორმაცია პროგრამის მიზანზე, შედეგზე, დასაქმებისა და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის შესახებ;

ბ) ბაკალავრიატი/მაგისტრატურა ადგენს შიდა მობილობის მსურველი ბაკალავრიატის იუნკერის/მაგისტრატურის მსმენელის მიერ განვლილი საგანმანალებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების სხვა საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ;

გ) შიდა მობილობის შესახებ საბოლოო რეკომენდაციებს შეიმუშავებს რექტორის ბრძანებით შექმნილი შიდა მობილობის მარეგულირებელი კომისია (შემდგომში - კომისია). კომისიის მუშაობის ოქმის საფუძველზე სასწავლო პროცესის დაწყებამდე გამოიცემა რექტორის ბრძანება შიდა მობილობის შესახებ;

დ) შიდა მობილობის პროცესის დასრულების შემდეგ აკადემია შიდა მობილობის შედეგებს ორი კვირის ვადაში მიაწოდებს სისტემას.

მუხლი12. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან გაუქმება

1. პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში აკადემია ითვალისწინებს ბაკალავრიატის იუნკერთა/მაგისტრატურის მსმენელთა კანონიერ ინტერესებს და იუნკერს/მსმენელს აძლევს პროგრამის შეუფერხებლად დასრულების შესაძლებლობას;

2. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში აკადემია უზრუნველყოფს იუნკერების/მსმენელების წინასწარ ინფორმირებას აღნიშნულის შესახებ;

3. აკადემია უფლებამოსილია განიხილოს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის, რენტაბელობის და გაუქმების საკითხი; საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობას განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და თავდაცვის ძალები, რომელიც არის უშუალო დამკვეთი და დამსაქმებელი;

4. აკადემიამ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება მოდიფიცირების გზით განათლების ერთი და იმავე საფეხურისა და მომიჯნავე მიმართულების/სპეციალობის/ სპეციალიზაციის მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების გაერთიანების შესახებ. გაერთიანებული (მოდიფიცირებული) საგანმანათლებლო პროგრამა უნდა იძლეოდეს ბაკალავრიატის იუნკერების/მაგისტრატურის მსმენელების მიერ უკვე მიღებული კრედიტების აღიარების შესაძლებლობას;

5. აკადემიის შესაცვლელი/გასაუქმებელი საგანმანათლებლო პროგრამის ბაკალავრიატის იუნკერს/მაგისტრატურის მსმენელს უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს აკადემიაში განათლების იმავე საფეხურის ანალოგიურ ან მომიჯნავე მიმართულების/სპეციალობის/სპეციალიზაციის (მაგისტრატურის შემთხვევაში) სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე (აკადემიაში ასეთი პროგრამის არსებობის შემთხვევაში), სწავლა განაგრძოს შეცვლილი საგანმანათლებლო პროგრამით;

6. აკადემია, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შეცვლილი/გაუქმებული საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის იუნკერებს/მსმენელებს გაუწევს კონსულტაციას თუ რომელი საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამით სწავლის გაგრძელების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი შეცვლილი/გაუქმებული საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამით მიღებული კრედიტების მაქსიმალური რაოდენობით აღიარება;

7. აკადემიაში შეცვლილი/გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის იუნკერების/ მსმენელების სწავლის გაგრძელების შემთხვევაში, აკადემია უზრუნველყოფს თითოეული იუნკერისათვის/მსმენელისათვის შესაბამისობების განსაზღვრას, გაუქმებული/შეცვლილი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესწავლილ სასწავლო კურსებსა და აკადემიის ახალი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს შორის. აკადემიამ შესაძლოა მიიღოს გადაწყვეტილება სწავლის გაგრძელების მიზნით

იუნკერებისათვის/მსმენელებისთვის (მათი თანხმობის შემთხვევაში) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს იმ კვალიფიკაციის მინიჭებას, რაც მიენიჭებოდა იმ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, რომელზეც განხორციელდა იუნკერის/მსმენელის ჩარიცხვა;

8. ბაკალავრიატის იუნკერის/მაგისტრატურის მსმენელის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შემუშავდება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის მიერ და ამ ერთეულის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით, მტკიცდება აკადემიურ საბჭოზე;

9. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს, როგორც სრული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ისე ცალკეული სასწავლო კურსებისათვის სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს ორი კვირისა;

10. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების დროს იუნკერის/მსმენელის მიღწევების შეფასება ხორციელდება „აკადემიაში აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურზე გამოცდების ორგანიზების, ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქციის“. შესაბამისად.

მუხლი 13. გარიცხული/ამორიცხული იუნკერის/მსმენელის აღდგენის წესით ჩარიცხვა

სტატუსშეწყვეტილი იუნკერის/მსმენელის აღდგენის წესით ჩარიცხვა აკადემიაში არ ხორციელდება.

მუხლი 14. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ჩარიცხვა

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ჩარიცხვა აკადემიაში ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით („თავდაცვის კოდექსის“ შესახებ საქართველოს კანონი და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი).

მუხლი 15. ბაკალავრიატის იუნკერის/მაგისტრატურის მსმენელის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი

1. ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენას ექვემდებარება აკადემიის საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხული ყველა იუნკერი;

2. ენობრივი კომპეტენციის დონე განისაზღვრება საგამოცდო საკითხების ფორმატის, მასში მოცემული შეფასების კრიტერიუმებისა და მინიმალური კომპეტენციის ზღვრის საფუძველზე;

3. საგამოცდო მასალის (ტესტის) შერჩევას/მომზადებას უზრუნველყოფს ბაკალავრიატის ენობრივი მომზადების განყოფილება;

4. გამოცდების ორგანიზებას უზრუნველყოფს საგამოცდო ცენტრი;

5. იუნკერები, რომლებიც არ ფლობენ ინგლისურ ენას ვალდებულნი არიან გაიარონ აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სავალდებულო ინგლისური ენის ყველა სასწავლო კურსი;

6. ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენის მიზნით აკადემიაში პირველი და მეორე კურსის დაწყებამდე ტარდება ინგლისური ენის ცოდნის დონის დამდგენი სადიაგნოსტიკო ტესტი;

7. იუნკერთა ენობრივი კომპეტენციის დადგენის შედეგად განისაზღვრება 6 დონე: A1, A2, B1, B1+, B2, B2+;

8. იუნკერები ენობრივი კომპეტენციის დადგენის შედეგად გადანაწილდებიან შესაბამისი დონის სასწავლო ჯგუფებში: A1, A2, B1, B1+, B2, B2+;

9. იუნკერები, რომელთა ინგლისური ენის ცოდნის დონეა B2 ან უფრო მაღალი, მიეცემათ დამატებით სხვა სასურველი უცხო ენის არჩევის და სწავლის შესაძლებლობა პირველი სემესტრიდან მეოთხე სემესტრის ჩათვლით (გერმანული ან ფრანგული ენები);

10. კონკრეტული სამიზნე აუდიტორიიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევაში (ენობრივი კომპეტენციის დონე) მოხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება;

11. მეორე და მესამე კურსების ბოლოს ბაკალავრიატის იუნკერს ჩაუტარდება STANAG- 6001-ის დამდგენი სადიაგნოსტიკო ტესტი, შემდეგი მოცემულობით:

ა) II კურსი STANAG 1;

ბ) III კურსი STANAG 2;

12. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად აბიტურიენტებმა უნდა ჩააბარონ აკადემიის მიერ ორგანიზებული ინგლისური ენის გამოცდა STANAG 2/2/2/2 ან წარმოადგინონ ენის ცოდნის შესაბამისი დონის დამადასტურებელ სერტიფიკატი მინიმუმ CEF B2 (ან შესაბამისი დონის TOEFEL/ILTS/ECL ან სხვა საერთაშორისო ინგლისური ენის გამოცდა) ან წარმოადგინონ დიპლომი/სერთიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ გავლილი აქვთ ინგლისურენოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ან სამხედრო საკარიერო კურსი (CGSC, WAR COLLEGE და ა.შ.).

14. კონკრეტული სამიზნე აუდიტორიიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევაში (ენობრივი კომპეტენციის დონე) მოხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება.

მუხლი 15[1]. ბაკალავრიატის იუნკერის/მაგისტრატურის მსმენელის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი (გავრცელდეს მხოლოდ 2023 და შემდგომ წლებში ჩარიცხულ ბაკალავრიატის იუნკერებზე/მაგისტრატურის მსმენელებზე)

1. ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენას ექვემდებარება აკადემიის საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხული ყველა იუნკერი;

2. ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენის მიზნით აკადემიაში პირველ და მე-2 კურსის დაწყებამდე ტარდება დიაგნოსტიკური ტესტი (placement test);

3. ენობრივი კომპეტენციის დონე განისაზღვრება საგამოცდო საკითხების ფორმატის, მასში მოცემული შეფასების კრიტერიუმებისა და მინიმალური კომპეტენციის ზღვრის საფუძველზე;

4. საგამოცდო მასალის (ტესტის) შერჩევას/მომზადებას უზრუნველყოფს ბაკალავრიატის ენობრივი მომზადების განყოფილება;

5. გამოცდების ორგანიზებას უზრუნველყოფს საგამოცდო ცენტრი, ბაკალავრიატი და აკადემიის შტაბის G3/G2 სამსახურის სამოქალაქო მიმართულების სასწავლო განყოფილება;

6. ბაკალავრიატის იუნკერები აკადემიაში არსებული თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო უცხო ენების სასწავლო კურსებიდან (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, თურქული) აირჩევენ ერთ-ერთს;

7. ბაკალავრიატის იუნკერთა ენობრივი კომპეტენციის დადგენის შედეგად განისაზღვრება ენათა ერთიანი ევროპული ჩარჩოს მიხედვით - 6 დონე: A1, A2, B1, B1+, B2 და B2+ (B2+ მხოლოდ ინგლისურ ენაში);

8. ბაკალავრიატის იუნკერები ენობრივი კომპეტენციის დადგენის შედეგად გადანაწილდებიან შესაბამისი დონის ჯგუფებში: A1, A2, B1, B1+, B2 და B2+ (B2+ მხოლოდ ინგლისურ ენაში);

9. თუ ბაკალავრიატის იუნკერს, პირველი სემესტრიდან მეოთხე სემესტრის ჩათვლით, დაუდასტურდება ერთ-ერთი უცხო ენის (გერმანული, ინგლისური, თურქული, ფრანგული) ენობრივი კომპეტენციის ცოდნის B2 დონე, მიეცემა შესაძლებლობა აირჩიოს სხვა სასურველი უცხო ენა (გერმანული, ინგლისური, თურქული, ფრანგული), გარდა მის მიერ უკვე დადასტურებული უცხო ენის ენობრივი კომპეტენციის ცოდნის დონისა;

10. კონკრეტული სამიზნე აუდიტორიიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევაში (ენობრივი კომპეტენციის დონე) მოხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება;

11. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად აბიტურიენტებმა უნდა ჩააბარონ აკადემიის მიერ ორგანიზებული ინგლისური ენის გამოცდა STANAG 2/2/2/2 ან წარმოადგინონ ენის ცოდნის შესაბამისი დონის დამადასტურებელ სერტიფიკატი მინიმუმ CEF B2 (ან შესაბამისი დონის TOEFEL/ILTS/ECL ან სხვა საერთაშორისო ინგლისური ენის გამოცდა) ან წარმოადგინონ დიპლომი/სერთიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ გავლილი აქვთ ინგლისურენოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ან სამხედრო საკარიერო კურსი (CGSC, WAR COLLEGE და ა.შ.).

მუხლი 16. კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა

1. ბაკალავრიატის იუნკერის/მაგისტრატურის მსმენელის მიერ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ იუნკერს/მაგისტრატურის მსმენელს ენიჭება პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია და ეძლევა ამ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი და დიპლომის დანართი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით. დიპლომი და დიპლომის დანართი გაიცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე;

2. კვალიფიკაციის მიმნიჭებელი ორგანოა აკადემიის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭო;

3. საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელი სემესტრის დასრულების შემდეგ, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭო შეისწავლის საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელი სემესტრის ბაკალავრიატის იუნკერების/მაგისტრატურის მსმენელების პირად საქმეებს, საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესრულების და საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისთვის დადგენილი სავალდებულო კრედიტების მიღების საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული კვალიფიკაციების მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ;

4. თუ ბაკალავრიატის იუნკერმა/მაგისტრატურის მსმენელმა ვერ შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოთხოვნა, მას არ აქვს მიღებული

საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების სავალდებულო რაოდენობა, მაშინ ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას კვალიფიკაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ;

5. თუ ბაკალავრიატის იუნკერს/მაგისტრატურის მსმენელს, საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოთხოვნის შესრულებით, მიღებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კრედიტების სავალდებულო რაოდენობა, მაშინ საგანმანათლებლო პროგრამა ითვლება დასრულებულად და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დიპლომის/წარჩინების დიპლომის გაცემის შესახებ;

6. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოს სხდომის ოქმში აისახება მიღებული გადაწყვეტილება:

ა) კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ (საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების, პროგრამის კურსდამთავრებულთა სახელების და გვარების და მათთვის მინიჭებული კვალიფიკაციისა და დიპლომის ხარისხის მითითებით);

ბ) კვალფიკაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ (საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების, ბაკალავრიატის იუნკერების/მაგისტრატურის მსმენელების სახელების და გვარების და კვალიფიკაციის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლის მითითებით);

7. ბაკალავრის/მაგისტრის დიპლომს და დიპლომის დანართს, აგრეთვე ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების სერტიფიკატს ამზადებს სამოქალაქო მიმართულების სასწავლო განყოფილება, ხოლო გაცემას უზრუნველყოფს აკადემიის კანცელარია.

მუხლი 17. სწავლების საფასური

1. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელის, ბაკალავრიატის იუნკერის და მაგისტრატურის მსმენელის (ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმოდგენილი პირი) სწავლების საფასური სრულად ფინანსდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ.

2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული იუნკერების/მაგისტრატურის მსმენელების (ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმოდგენილი პირი) სწავლების საფასური სრულიად ფინანსდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ.

3. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული მსმენელების სწავლის საფასური შეადგენს 2250 (ორიათას ორას ორმოცდაათი) ლარს გარდა ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოდგენილი პირისა.

მუხლი 18. დასკვნითი დებულებები

ამ დოკუმენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მისი მიღებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.